საიდ. №78098/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №96-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ზიჰ კორპ.“ (ZIH Corp.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №96-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 30 აპრილის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №878/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „ZEBRA” (საიდ. №78098/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-16 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირება ასევე, მე-16 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „ნაბეჭდი

ეტიკეტები(იარლიყები), შტრიხკოდის ნაბეჭდი ეტიკეტები, საქმიანი დოკუმენტის ფორმები; პრინტერის მიერ, როგორიცაა ლაზერული პრინტერები, დამუშავებადი საიდენტიფიკაციო ეტიკეტები და ლენტები, განკუთვნილი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტებისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთვის განკუთვნილი ქაღალდის ლამინირებული სამაჯურები, ბეჭდვისთვის განკუთვნილი ქაღალდის მასა, კერძოდ, ცარიელი ან ნაწილობრივ დაბეჭდილი იარლიყები, საბეჭდი მანქანის ლენტები, ბეჭდვისთვის განკუთვნილი მარაგი, კერძოდ, არაქსოვილის თავისუფალი ან ნაწილობრივ ნაბეჭდი იარლიყები და პრინტერის საბეჭდი ლენტები, ქაღალდის ან პლასტმასისგან დამზადებული თვითწებვადი ლენტები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტების ამოცნობის და მათზე ზრუნვისთვის, პლასტიკური ბარათები, ლამინირებული ბარათები, გადასაყვანი გარსები და აპკები, ნიშნები, თერმული ქაღალდი, ჩეკის ქაღალდი, თვითწებვადი იარლიყები, RFDI ბარათები“.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 30 აპრილის №878/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "ZEBRA" მსგავსია შპს „ზებრა გრუპ“-ის (მისამართი: ბახტრიონის ქ.28, თბილისი) სახელზე მე-16 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისთვის "საქპატენტში" რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა "ZEBRA ზებრა" (რეგ. N 20569; რეგისტრაციის თარიღი: 28-06-2010). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანი ლათინურ ანბანთან ერთად შესრულებულია ქართული ანაბანით. ორივე ნიშანი შეიცავს იდენტურ ასოთა კომბინაციას "ZEBRA", რომლის ფონეტიკური და ვიზუალური მხარეც იდენტურია. რაც შეეხება ქართული ანბანით შესრულებულ სიტყვიერ ნაწილს "ზებრა", აღნიშნულსაც აქვს იგივე

ჟღერადობა, რაც სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს თან ახლავს გამოსახულებაც, აღნიშნული არ გამორიცხავს მომხმარებლის მიერ ნიშნების აღრევას. მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ალბათობას ზრდის საქონლის ჩამონათვალს შორის არსებული მსგავსება. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მე-16 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს განცხადებული სასაქოლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს ნაბეჭდი პროდუქციის და ბეჭვდისთვის განკუთვნილი პროდუქციის ნაწილში. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, კერძოდ, მე-16 კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ზიჰ კორპ." (ZIH Corp.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ განცხადებული ნიშნის დაცვა მოითხოვებოდა მე–16 კლასის შემდეგი საქონლისათვის – „ნაბეჭდი ეტიკეტები (იარლიყები), შტრიხკოდის ნაბეჭდი ეტიკეტები, საქმიანი დოკუმენტის ფორმები; პრინტერის მიერ, როგორიცაა ლაზერული პრინტერები, დამუშავებადი საიდენტიფიკაციო ეტიკეტები და ლენტები, განკუთვნილი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტებისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთვის განკუთვნილი ქაღალდის ლამინირებული სამაჯურები, ბეჭდვისთვის განკუთვნილი ქაღალდის მასა, კერძოდ, ცარიელი ან ნაწილობრივ დაბეჭდილი იარლიყები, საბეჭდი მანქანის ლენტები, ნაბეჭდი მასალა და ნაბეჭდი გამოცემები, კერძოდ, ბროშურები, თვალსაჩინო მასალა და სახელმძღვანელოები, ნაწერი

პრეზენტაციები და სასწავლო მასალა კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის, აპარატურული უზრუნველყოფის, რეალური დროის ადგილობრივი სისტემების და პრინტერებისთვის; ბეჭდვისთვის განკუთვნილი მარაგი. კერძოდ, არაქსოვილის თავისუფალი ან ნაწილობრივ ნაბეჭდი იარლიყები და პრინტერის საბეჭდი ლენტები, ქაღალდის ან პლასტმასისგან დამზადებული თვითწებვადი ლენტები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტების ამოცნობის და მათზე ზრუნვისთვის, პლასტიკური ბარათები, ლამინირებული ბარათები, გადასაყვანი გარსები და აპკები, ნიშნები, თერმული ქაღალდი, ჩეკის ქაღალდი, თვითწებვადი იარლიყები, RFDI ბარათები“ (printer labels; barcode printer labels; business forms; Identification labels and bands processable through printers such as laser printers and used by healthcare professionals; paper laminate wristbands for use in the healthcare industry; printable paper stock, namely, blank or partially printed labels, printing machine ribbons; printed matter and printed publications, namely, brochures, instruction and user manuals, written presentations and training materials for computer software, hardware, real time location systems, and printers; printer supplies, namely blank or partially printed labels (not of textile) and computer printer ribbons; self-adhering labels made of paper and plastic film for use for patient identification and patient care in the health care industry; plastic cards, laminated cards, transfer film, tags, thermal paper; receipt paper; self-adhesive labels; RFID cards). ხოლო დაპირისპირებული ნიშანი დაცულია მე–16 კლასის შემდეგი საქონლისთვის: „ნაბეჭდი პროდუქცია“ (printed matter). “ნაბეჭდი პროდუქცია” – განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, არის გამომცემლობის (გამომცემლობების) და (ან) გამომცემელი ორგანიზაციის, აგრეთვე, კერძო პირთა მიერ გამოშვებული გამოცემებისა და დაბეჭდილი პროდუქციის (ბლანკები, სააღრიცხვო–ანგარიშსაგები დოკუმენტები, საკანცელარიო ნივთები და ასე შემდეგ) ერთიანობა. დაპირისპირებული ნიშნის მფლობელის საქმიანობას წარმოადგენს საბავშვო წიგნების გამოცემა. შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნის საქონლიდან, განმარტებიდან და აპელანტის მე–16

კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალიდან გამომდინარე ექსპერტს უარი უნდა ეთქვა ამ კლასის არა სრული ჩამონათვალისათვის არამედ, მხოლოდ იმ ნაწილისთვის, რომლითაც დაემთხვა დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, კერძოდ, ნაბეჭდი პროდუქციის მიმართ. სააპელაციო საჩივარში ასევე, აღნიშნულია, რომ საქონელს შორის მსგავსების აღმოფხვრის მიზნით, აპელანტი ითხოვს მე–16 კლასის განცხადებული საქონლის შეზღუდვას და თანახმაა ჩამონათვალიდან ამოღებული იქნას შემდეგი საქონელი: „ნაბეჭდი მასალა და ნაბეჭდი გამოცემები, კერძოდ, ბროშურები, თვალსაჩინო მასალა და სახელმძღვანელოები, ნაწერი პრეზენტაციები და სასწავლო მასალა კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის, აპარატურული უზრუნველყოფის, რეალური დროის ადგილობრივი სისტემების და პრინტერებისთვის“ (printed matter and printed publications, namely, brochures, instruction and user manuals, written presentations and training materials for computer software, hardware, real time location systems, and printers). მე-16 კლასის დარჩენილი საქონლის მიმართ (ნაბეჭდი ეტიკეტები (იარლიყები), შტრიხკოდის ნაბეჭდი ეტიკეტები, საქმიანი დოკუმენტის ფორმები; პრინტერის მიერ, როგორიცაა ლაზერული პრინტერები, დამუშავებადი საიდენტიფიკაციო ეტიკეტები და ლენტები, განკუთვნილი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტებისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთვის განკუთვნილი ქაღალდის ლამინირებული სამაჯურები, ბეჭდვისთვის განკუთვნილი ქაღალდის მასა, კერძოდ, ცარიელი ან ნაწილობრივ დაბეჭდილი იარლიყები, საბეჭდი მანქანის ლენტები, ბეჭდვისთვის განკუთვნილი მარაგი, კერძოდ, არაქსოვილის თავისუფალი ან ნაწილობრივ ნაბეჭდი იარლიყები და პრინტერის საბეჭდი ლენტები, ქაღალდის ან პლასტმასისგან დამზადებული თვითწებვადი ლენტები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტების ამოცნობის და მათზე ზრუნვისთვის, პლასტიკური ბარათები, ლამინირებული ბარათები, გადასაყვანი გარსები და აპკები, ნიშნები, თერმული ქაღალდი, ჩეკის ქაღალდი, თვითწებვადი იარლიყები, RFDI ბარათები) არ მოხდება ამ ორის ნიშნის

აღრევა მით უფრო, რომ აპელანტის საქონელი უმეტესად განკუთვნილია სამედიცინო სფეროსთვის.

ამასთან, აპელანტი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ, სხდომაზე არ გამოცხადდა.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ZEBRA" (საიდ. №78098/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი "ZEBRA ზებრა" (რეგ. N 20569) აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი კომბინირებული და სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად შეიცავს ასევე, „ზებრის" გამოსახულებას, აღნიშნული ვერ სძენს ნიშნებს საკმარის ვიზუალურ განმასხვავებლობას. იდენტურია ნიშნების სიტყვიერი ელემენტები „ZEBRA", რომლებიც სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებითაა შესრულებული.

ნიშნები, ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის იდენტურად: „ზებრა". ამასთან, ორივე დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი აღნიშნავს ცხოველის - „ზებრის" სახელს.

კოლეგიამ არ გაიზიარა ასევე, აპელანტის მოთხოვნა მე-16 კლასის საქონლის შემდეგი სახით შეზღუდვასთან დაკავშირებით: „ნაბეჭდი ეტიკეტები (იარლიყები), შტრიხკოდის ნაბეჭდი ეტიკეტები, საქმიანი დოკუმენტის ფორმები, პრინტერის მიერ, როგორიცაა ლაზერული პრინტერები, დამუშავებადი საიდენტიფიკაციო ეტიკეტები და ლენტები, განკუთვნილი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტებისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთვის განკუთვნილი ქაღალდის ლამინირებული სამაჯურები, ბეჭდვისთვის განკუთვნილი ქაღალდის მასა, კერძოდ, ცარიელი ან ნაწილობრივ დაბეჭდილი იარლიყები, საბეჭდი მანქანის ლენტები, ბეჭდვისთვის განკუთვნილი მარაგი, კერძოდ, არაქსოვილის თავისუფალი ან ნაწილობრივ ნაბეჭდი იარლიყები და პრინტერის საბეჭდი ლენტები, ქაღალდის ან პლასტმასისგან დამზადებული თვითწებვადი ლენტები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტების ამოცნობის და მათზე ზრუნვისთვის, პლასტიკური ბარათები, ლამინირებული ბარათები, გადასაყვანი გარსები და აპკები, ნიშნები, თერმული ქაღალდი, ჩეკის ქაღალდი, თვითწებვადი იარლიყები, RFDI ბარათები“, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია მე-16 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ნაბეჭდი პროდუქცია“. შესაბამისად, კოლეგიის აზრით, ნაბეჭდი პროდუქცია და აპელანტის მიერ შეზღუდული მე-16 კლასის საქონელი, თავისი არსითა და დანიშნულებით წარმოადგენს ერთგვაროვან საქონელს, შესაბამისად მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „ZEBRA” (საიდ. №78098/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ზიჰ კორპ.“ (ZIH Corp.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 30 აპრილის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №878/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ქ. კილაძე
	ს. ებრალიძე